

შპს „შპს ჯი-ეს ჯგუფი“

ფინანსური ინფორმაცია

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შპს „შპს ჯი-ეს ჯგუფი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯი-ეს ჯგუფი (ს/ნ 404887280) დაფუძნების თარიღი 10.02.2011 წ.

საზოგადოებას ჰყავს ორი დამფუძნებელი:

ალექსანდრე კორძაია (პ/ნ 01009004543) - 50% წილის მფლობელი

ბაადურ ურუშაძე (პ/ნ 01009000049) - 50% წილის მფლობელი

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილია დირექტორი -

შოთა ლებანიძე (პ/ნ 01006015537).

ტელეფონი: 577101126

ელ-ფოსტა: gsgroupgs@gmail.com

საზოგადოების იურიდიული მისამართი : თბილისი, ვაკის რაიონი, კავსადის ქუჩა № 3,

კომერციული ფართი № 6.

ფაქტობრივი მისამართი : თბილისი, ვაკის რაიონი, კავსადის ქუჩა № 3, კომერციული ფართი № 16

საზოგადოებაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2024 წლის და 2023 წლის მდგომარეობით იყო 33 და 21 ადამიანი შესაბამისად.

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობათა მშენებლობა-რემონტი, სამაცივრე დანადგარების მონტაჟი და მომსახურება, საზოგადოების კუთვნილი კომერციული ფართის გაქირავება (თბილისი, კავსადის ქუჩა № 3, კომერციული ფართი № 6.), ასევე ვაჭრობა მშენებლობისათვის საჭირო დანამატი-მასალებით.

2. მომზადების საფუძვლები

შპს ჯი-ეს ჯგუფის მიერ წარმოდგენილი 2024 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში-„ანგარიშგება“) მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში-„მსს ფასს“) შესაბამისად. ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადებისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებებში ასახულ თანხებთან დაკავშირებით, რაც მოითხოვება მსსფასს-ებით და აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელამდე.

ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის გააჩნია გაუნაწილებელი მოგება 3,418,900 ლარი, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი 4,273,627 ლარი. 2024 წლის მონაცემების გათვალისწინებით კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ აღნიშნული უზრუნველყოფს კომპანიისთვის აუცილებელ ლიკვიდურობას ოპერაციების გასაგრძელებლად და ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს და მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31

შპს „შპს ჯი-ეს ჯგუფი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დეკემბრის ჩათვლით.

შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა მსფას-ების შესაბამისად ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს. ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამის პერიოდებზე მიკუთვნებით.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. საანგარიშო პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია გაცვლითი კურსები:

	31.12.2023	31.12.2024
USD/GEL	2.6894	2.8068
EUR/GEL	2.9753	2.9306

ფული და ფულის ეკვივალენტები - მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე და საბანკო ბარათებზე. საწარმოს არ გააჩნია რეგისტრირებული სალარო აპარატი. ოპერაციები წარმოებს გადარიცხვით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით.

თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან.

ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი

კაპიტალიზაცია თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშების მიზნით გამოყენებულია წრფივი მეთოდი. ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისათვის განსაზღვრულია შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

- ნაგებობები – 10 წელი;
- კომპიუტერული ტექნიკა – 5 წელი;
- ოფისის აღჭურვილობა – 5 წელი;
- ავეჯი და ინვენტარი – 5 წელი;
- სპეციალური ინსტრუმენტები – 5 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები – 5 წელი;
- სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები – 6,5 წელი;

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი;
2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე;
3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით;
4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება პერიოდულად. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ანგარიშგებაში ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების

შპს „შპს ჯი-ეს ჯგუფი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება მოსალოდნელი წარმადობა სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ძირითადი საშუალებები, შპს ჯი-ეს ჯგუფი

დასახელება	31.12.2023	დაგროვილი ცვეთა	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა 2024	31.12.2024
	ღირებულება					ღირებულება
მიწა	350 390,55					350 390,55
ნაგებობები	196 625,42					196 625,42
კავშირგაბმულობის საშუალებები	2 341,52		83,90			2 425,42
ოფისის აღჭურვილობა	2 749,99		127,93			2 877,92
კომპ.ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	12 325,42		2 397,45			14 722,87
ავტო	1 725,85					1 725,85
ინვენტარი	8 545,60					8 545,60
სპეციალური ინსტრუმენტები	30 986,76		7 116,70			38 103,46
სატრანსპორტო საშუალებები	80 799,96					80 799,96
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	12 386,99					12 386,99
საერთო ცვეთა		107 570,77			30 517,41	
სულ ძირითადი საშუალებები	591 307,29		9 725,98	-		570 515,86

მატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს თავისი მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი.

მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

კომპანიის მარაგების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს ნედლეული და მასალები, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის, ასევე ძირითადი საშუალების

შპს „შპს ჯი-ეს ჯგუფი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მუშა მდგომარეობის უზრუნველსაყოფად .

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების ხარჯად აღიარებისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიას გააჩნია 8071448 ლარის ღირებულების მარაგები, მათ შორის:

ნედლეული და მასალები - 6270440,39 ლარი

სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონელი - 539976,81 ლარი

დაუმთავრებელი წარმოების ღირებულება - 1259358,79 ლარი

საწვავის მარაგი - 1672,17 ლარი.

ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გამოკლებით.

2023 წლის შემოსავალი 7,458,267 ლარი მოიცავს ამონაგებს სამშენებლო მასალებით ვაჭრობიდან 728,268 ლარი, იჯარიდან 78,104 ლ, სამაცივრე საწყობების მონტაჟიდან -6,443,177 ლარი და სხვა მომსახურებებიდან -208,718 ლარი.

2024 წლის შემოსავალი 9,416,435 ლარი მოიცავს ამონაგებს სამშენებლო მასალებით ვაჭრობიდან 965,136 ლარი, იჯარიდან 67,246 ლარი და სამაცივრე საწყობების მონტაჟიდან - 8,384,053 ლარი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს და პროცენტის მატარებელი არ არის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ როდესაც არსებობს საფუძველი რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31/12/2023	31 /12/2024
სავაჭრო მოთხოვნები	1370375,52	1461883,07

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით და არ ერიცხება პროცენტი. ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები - თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე ვადით, თუ არა - როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ერიცხება სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 95077,54 ლარის ოდენობით და ნედლეულისა და მასალების შესაძენად მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი 1660376,03 ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეადგენს 26989,73 ლარს და მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი 1326424,59 ლარს.

ავანსს ძირითადად წარმოადგენს ნედლეულის ან ძირითადი საშუალების მომწოდებელი კომპანიებისათვის გადახდილი თანხები, რომელთა მოწოდება განხორციელდა ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ პერიოდში, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში იგი აღიარებულია მოკლევადიან აქტივად.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს საოპერაციო ხარჯების გაწევას, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო ფონდში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ

შპს „შპს ჯი-ეს ჯგუფი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

პერიოდში როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. ვინაიდან საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება ანაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს, კომპანიის მიერ აღიარდება, როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრის მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებული იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრის ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით, რათა შეინარჩუნოს ბაზრის მონაწილეთა ნდობა.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული არ არის. 2023 წლის ბოლოს კომპანიის საკუთარი კაპიტალი შეადგენდა 3,418,900 ლარს, ხოლო 2024 წლის ბოლოს 4,273,627 ლარს.

სესხები და ოვერდრაფტები

ბანკის სესხების და ოვერდრაფტების საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

საწარმოს გრძელვადიანი საკრედიტო ვალდებულება პროკრედიტ ბანკის მიმართ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2000000 ლარს, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1438932,94 ლარს.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომ მნიშვნელოვან ცვლილებებსა და მოვლენებს ადგილი არ ქონია.

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი

შპს „შპს ჯი-ეს ჯგუფი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

„კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში. 2024 წელს დივიდენდი არ გაცხადებულა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას. ასევე

შპს „შპს ჯი-ეს ჯგუფი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შესაძლებელია რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, საგადასახადო და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება, შესაბამისად არ მომხდარა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

ფინანსური რისკის მართვა

კომპანია განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში, რომელიც მოიცავს საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთების რისკებს. ამასთან კომპანია პერმანენტულად ახორციელებს სამუშაოებს საოპერაციო რისკების მინიმიზაციის კუთხითაც.

საკრედიტო რისკი

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია არ ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების

შპს „შპს ჯი-ეს ჯგუფი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

შოთა ლეხანიძე

დირექტორი:

შპს „შპს ჯი-ეს ჯგუფი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

შოთა ლებანიძე

დირექტორი:



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	450538	1778002
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1461883	1384477
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2688715	3170555
მარაგები-ნედლეული და მასალები	8071448	3884434
საინვესტიციო ქონება	435990	434790
სხვა მოკლევადიანი აქტივები-მისაღები პროცენტები	84664	310284
ძირითადი საშუალებები	570516	591307
სხვა გრძელვადიანი აქტივები- მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხები	666068	0
სულ აქტივები	14429822	11553849

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	718066	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ- გადასახდელი ხელფასი	20935	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	7978261	6158851
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1438933	1976098
სულ ვალდებულებები	10156195	8134949

საკუთარი კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	4273627	3418900
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	14429822	11553849
სულ მოკლევადიანი აქტივები	12757248	6642878
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	8717262	0

დირექტორი - შოთა ლებანიძე



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	9416435	7458267
საქონლის გაყიდვიდან	965136	728268
მომსახურების გაწევიდან	67246	78104
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	8384053	6443177
სხვა	0	208718
გაყიდვების თვითღირებულება	-7228173	-5536676
საერთო მოგება	2188262	1921591
დასაქმებულთა ანაზღაურება	-470996	-430622
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-30517	-13114
საპროცენტო შემოსავალი	71544	17869
საპროცენტო ხარჯი	-126632	-62008
იჯარის ხარჯი	-6102	-6102
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-423315	-157877
სულ საოპერაციო ხარჯები	-986018	-651854
საოპერაციო მოგება	1202244	1269737
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-24312	-37191
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-14174	2644
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციები	1163758	1235190
მოგების გადასახადის ხარჯი	-43484	-3883
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1120274	1231307
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1120274	1231307
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3418900	2378483
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	-55789
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-265547	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-135101
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4273627	3418900

დირექტორი - შოთა ლებანიძე



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-204856	100199
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1200	-216185
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1098404	1858690
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-1304460	1742704
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-23004	-37353
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1778002	72651
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	450538	1778002

დირექტორი - შოთა ლებანიძე

